ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 249 (20995) — პარასკევი, 26 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲣᲤᲔᲠᲔᲜᲣᲚᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲐ!



ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲨᲕᲐᲗ ᲛᲧᲝᲝᲑᲐᲓᲘ!

**ᩩᩣᩬᩣᩬᩣᩬ

გივი გუმბარიძე: ვისწავლოთ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოებრივი ცხოვრება

(დასასრული).

მოუკიდებელი საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნას. ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი კომიტეტის ფუნქციები უშუალოდ საქართველოს მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოსთვის დაგვეკისრებინა. ეს მნიშვნელოვნად გაადვილებდა სასამართლო ხელისუფლებას, უკეთ უზრუნველყოფდა ხელისუფლებათა დანაწილებისა და ურთიერთკონტროლის პრინციპების განხორციელებას, რაც მთავარია, განამტკიცებდა კანონიერებას, სამართლის უზენაესობას. სწორედ ასეთნაირადაა ეს საკითხი გადაწყვეტილი ბევრ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

მწვავედ დგას საგამოძიებო სამსახურის რეორგანიზაციის, მის დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბების საკითხი. ამიტომ, როგორც ჩანს, უნდა შეიქმნას საგამოძიებო ორგანოების ერთიანი, დამოუკიდებელი უწყება. შესაბამისად, გადასასინჯია გამოძიების სფეროში პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების კომპეტენციის საკითხები. ალბათ, პროკურატურის ერთადერთი დანიშნულება უნდა იყოს კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი ეფექტიანი ზედამხედველობა. ამასთან, ჩვენი აზრით, იგი კონტროლს არ უნდა უწევდეს სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებს — სრული და განუყოფელი უნდა იყოს მართლმსაჯულების ორგანოების უფლებამოსილება.

რაც შეეხება სხვა სამართალდამცავ ორგანოებს, ვფიქრობ, შინაგან საქმეთა ორგანები მხოლოდ და მხოლოდ საზოგადებრივი წესრიგის დაცვისთვის, უშიშროების ორგანოები კი ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისთვის უნდა აგებდნენ პასუხს. არსებობად უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობის ხასიათი იუსტიციის სამინისტრომაც.

თვისებრივად უნდა შეიცვალოს ადვოკატურის როლი და მნიშვნელობაც. იგი უნდა გახდეს თანასწორუფლებიანი პროცესუალური მხარე და უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებათა ჯეროვან დაცვას.

არსებითად ახალი ფუნქციები უნდა შეიძინოს არბიტრაჟმაც. სწორედ მან უნდა იკისროს სამეურნეო სასამართლოს ფუნქციები.

ერთი სიტყვით, უნდა შევქმნათ სამართალდამცავი ორგანოების ისეთი დემოკრატიული სისტემა, რომელიც ხალხისადმი კონტროლით მოემსახურება ხალხს, დაიცავს მის ინტერესებს, უზრუნველყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას და თვითონაც ხელშეუხებელი იქნება.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად მწვავედ დგას საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე ისეთი სპეციალური კანონის მიღების საკითხი, სადაც საერთაშორისო სამართლებრივი პაქტებისა და დეკლარაციების გათვალისწინებით არა მარტო განმტკიცდება მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, არამედ ჩამოყალიბდება კიდეც მტკიცე სამართლებრივი გარანტიები მათი განუხრელი დაცვისათვის. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფუძემდებლური დოკუმენტი უნდა გახდეს მომავალი კონსტიტუციის პირველი, ძირითადი კარი, რომელმაც მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ახალი ძირითადი კანონის მთელი მიზანდასახულობა. ადამიანებს უნდა აღვუდგინოთ წრმენა მართმსაჯულებისადმი, სამართალდამცავი ორგანოებისადმი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იმუშავებენ კანონები, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნებათ მათ ავტორიტეტი. მაღალი სამართლებრივი კულტურა მხოლოდ მოქალაქეებს, ცალკეულ ადამიანებს როდი მოეთხოვებათ. პირიქით, უწინარეს ყოვლისა, თვით სახელმწიფო, მისი ოფიციალური სტრუქტურები და, რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების ორგანოები უნდა იყვნენ შაგალითის მიმცემნი.

— გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გვითხრათ, როგორია თქვენი თვალსაზრისი საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნაზე. როგორ ფიქრობთ, დგას ასეთი პრობლემა ჩვენი ხალხის წინაშე, თუ იგი მხოლოდ შორეული მომავლის საქმეა? ამასთან, როცა საკუთარ საჯარისო ფორმირებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისეთი ცალკეული სამხედრო შეაერთების შექმნა, როგორებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გვყავდა, თუ ისეთი ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომლებიც აღჭურვილი იქნება დამოუკიდებელი არმიისათვის დამახასიათებელი ყველა თანამედროვე სტრუქტურული და მმართველობითი ატრიბუტით?

— სრულფასოვანი აღმასრულებელი ხელისუფლება და სრულხელისუფლებიანი სუვერენული სახელმწიფო ძნელი წარმოსადგენია საკუთარ საჯარისო ფორმირებათა გარეშე. ეს კარგად იცის ჩვენმა ხალხმა, რომლისთვისაც გარეშე ძალების ხელყოფისაგან საკუთარი ქვეყნის საზღვრების დაცვა ყოველთვის უმწვავესი პრობლემა იყო. არჩევნების შემდეგ ახალ ხელისუფლებას უთუოდ მოუწევს ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი არსებითი გარემოებაც: თუ ზოგიერთი რესპუბლიკისთვის უცხოა საკუთარი საჯარისო შენაერთების არსებობა, ჩვენს რესპუბლიკას ჯერ კიდევ შვიდი ათეული წლის წინათ — საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციით ჰქონდა საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის უფლება. ამავე კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის არსებობა. ასე რომ, ამ სფეროში რესპუბლიკების კომპეტენციის შეზღუდვა იმ უნიტარისტული ტენდენციების შედეგია, რომლებმაც თავი იჩინა საბჭოთა ხელისუფლების მთელ შემდგომ პერიოდში.

ახლა ამოცანა ის არის, დაუბრუნოთ რესპუბლიკას მისთვის უკანონოდ წართმეული უფლებები. ეს, რაც შეეხება პრობლემის სამართლებრივ ფორმალურ მხარეს. გაცილებით რთული იქნება ამ საკითხის პრაქტიკული მხარეების მოგვარება. იგი დაკავშირებულია მრავალი საფინანსო, მატერიალური და სხვა ხასიათის პრობლემის გადაწყვეტასთან. მაგალითად, მეტად სერიოზული და საშური საქმეა ეროვნული სამხედრო კადრების მომზადება, რისთვისაც ალბათ, აუცილებელი იქნება სპეციალური სამხედრო სასწავლებლის შექმნა.

ბევრი სხვა საკითხიც იქნება გადასაწყვეტი, მაგრამ არ უნდა შეგვაშინოს ამან. თანაც, ვიდრე პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაიაროს სამხედრო სამსახური. ჩვენი ჭაბუკების სამსახურში უნდა ჩავაყენოთ უზენაესი საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ. საამისოდ ყველა პირობას ჰქმნის მთავრობის დადგენილება, რომელიც არეგულირებს ამ კანონის მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქვე უნდა აღინიშნოს, ჩვენი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობას ალტერნატიულ სამსახურად ჩაეთვალოს სწავლა საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

— სახელმწიფო სტრუქტურებისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია სრულიად ახლებურად ნარმოგვიჩენს სხვადასხვა დონეზე ხელისუფლების დანაწილების პრობლემასაც. როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკა მზად არის ამ სფეროს რეფორმირებისათვის?

— გულახდილად უნდა ვაღიაროთ, ახლა უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ის სახით შენარჩუნება, როგორი სახითაც ისინი დღეს არსებობენ. თვით ცხოვრებამ შვა ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემის რადიკალური დეცენტრალიზაციის პრობლემა, ცენტრალური და ადგილობრივი სტრუქტურების კომპეტენციის ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნის აუცილებლობა.

ამ მიმართულებით რესპუბლიკაში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. მომზადდა კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ, რომელსაც პრესის საშუალებით იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. ცხადია, ეს დოკუმენტი მხოლოდ პროექტია და მისი ბევრი დებულება, ალბათ, დაზუსტებას მოითხოვს.

ჩვენ გვჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი დინამიკური მოდელები, რომლებიც დაეფუძნება ჩვენი ხალხის მდიდარ მემკვიდრეობას, ქვეყნის ტერიტორიულ-ეკონომიკური მოწყობის დიდ ისტორიულ გამოცდილებას, ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს. უთუოდ სასარგებლო იქნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრაქტიკის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის საზღვარგარეთული სტრუქტურების გაცნობა. ამასთან, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორიცაა არჩევითობა, საჯაროობა, ეკონომიურობა და მობილურობა, რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ოპტიმალური შეხამება.

ახალმა სტრუქტურებმა ცენტრალური ორგანოები უნდა განტვირთონ მართვის ზედმეტი, არანიშნდობლივი ფუნქციებისაგან, რაც მთავარია, ხელისუფლება ხალხთან, მის საჭიროებებთან დააახლოონ. ამასთან, განხორციელებულმა რეფორმებმა არასგზით არ უნდა შელახონ მოქალაქეთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, არ შეასუსტონ მმართველობის ცენტრალური ორგანოები, არ უგულებელყონ ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ინტერესები.

ერთი სიტყვით, ახლებურად გასააზრებელი და გადასაწყვეტია მრავალი რთული პრობლემა, რაც მთავარია, [illegible] ავიდან უნდა ვისწავლოთ [illegible] ეკელი, სუვერენული სახელმწიფოებრივი ცხოვრება, დროულად შევქმნათ ამისათვის ყველა პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი ქცევის საფუძველი.

— ბატონო გივი, რა დასამალია და, რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთი ნაწილი ეროგვარი შიშით შეჰყურებს თავის მომავალს, რატომღაც ჰგონია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შეიზღუდება მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი უფლებები. როგორ ფიქრობთ, არის რაიმე საფუძველი ასეთი განწყობილებისათვის?

— არაერთგზის გვითქვამს და ახლაც გვინდა გავიმეოროთ — ჩვენი მიზანია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. ასეთ სახელმწიფოში დაცული იქნება არა მარტო ქართველი ერის, არამედ აფხაზი, და ოსი, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის უფლებები და პოლიტიკური გარანტიები. არავის არ უნდა შეეშაროს ეჭვი იმაში, რომ არანაირად არც შეილახება და არც შეიზღუდება რომელიმე ეროვნების ადამიანთა ინტერესები, ქართველ ხალხს სხვა ეროვნების ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საუკუნოვანი ტრადიციები აქვს. საქართველოს მინა-წყალზე მცხოვრებ სხვადასხვა ხალხის შვილებს ყოველთვის გვმატებდა ძალასა და ენერგიას ურთიერთპატივისცემა, გვაახლოებდა საერთო ჭირი და ლხინი, მრავალეროვნულობას ყოველთვის შეჰქონდა განუმეორებელი კოლორიტი ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, ეროვნულ კულტურაში.

ყოველი ღონისძიებით უნდა ავაღორძინოთ ეს ძირძველი, კეთილშობილური ტრადიციები, გავითავისოთ ერთმანეთის მისწრაფებები და ინტერესები, ერთად ვიღვაწოთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. საცილობელი არ უნდა იყოს ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უწმინდესი უფლება, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ, ამასთანავე, მტკიცე ეროვნული და მოქალაქეობრივი გარანტიები უნდა ჰქონდეთ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების ადამიანებს. პატივს უნდა სცემდნენ ისინი ქართველი ხალხის ენას, მის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ქართველი ხალხიც ასეთივე პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესებს, მათ ენას, კულტურას, ტრადიციებს, ეროვნულ თვითშეგნებას.

სწორედ ასეთ [illegible] ერება ჩვ[illegible] ნინასწ[illegible] პროგრამა. [illegible] ნიშნული, რომ საქართველოს კომპარტია გმოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს, მის იდეალებსა და მისწრაფებებს. ამასთან, იგი არის და მომავალშიც იქნება საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ეროვნული ინტერესების მტკიცე გარანტიც.

— ბატონო გივი, თქვენ ბრძანეთ, პოლიტიკაში ყველაზე მეტად რეალიზმი ფასობსო. რეალობა კი ასეთია: საქართველოს სუვერენიტეტი დღესდღეობით იმისდა მიხედვით იზომება, თუ როგორია მისი მიმართება სსრ კავშირთან, რომლის მოდერნიზაციასაც ისახავს მიზნად ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება. ახლა ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ამ ხელშეკრულების შესამუშავებლად. როგორია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რამდენად გამოხატავს იგი ჩვენი ხალხის მისწრაფებებს?

— ამ პრობლემისადმი ჩვენი დამოკიდებულება ერთსახაა. ნებისმიერი პოლიტიკური ხასიათის, მით უმეტეს სამოკავშირეო ხელშეკრულება, შეიძლება მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის დაიდოს. ამასთან ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა დეკლარირებული, არამედ ფაქტობრივი სუვერენიტეტი. ეს ჩვენი მტკიცე პოზიციაა, რომელიც აისახა საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში, სადაც, ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ხასიათისა და ფორმების განსაზღვრა, რაც საქართველოს უზენაესი საბჭოს პროგრამებია, უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნების სრული გათვალისწინებით.

ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს საერთოდ ყველანაირი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. საბაზრო ეკონომიკა ურთიერთობათა ახალ ხასიათს გულისხმობს. მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, გვაქვს სხვა რესპუბლიკებთან, ქვეყნებთან პირდაპირი ეკონომიკური კავშირურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების მიღება. როგორ უნდა ვიცხოვროთ, თუ არ შემოვიტანეთ საწვავი, პროდუქტებისა და ნედლეულის ზოგიერთი სახეობა და მათ სანაცვლოდ არ გავიტანეთ ის, რისი მინოდებაც შეგვიძლია სხვა რესპუბლიკებისათვის. ლაპარაკია ნორმალურ, ახლებურ ეკონომიკურ კავშირებზე, რის გარეშეც დღეს ვერც ერთი ქვეყანა ვერ იარსებებს.

თქვენ სწორად ბრძანეთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შემუშავება, მაგრამ, ახლა ჩვენი აზრით, საქართველოს და, ალბათ, სხვა რესპუბლიკების წინაშეც, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. მხედველობაში გვაქვს, როგორც მოგახსენეთ, რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ვიდრე ეს პრობლემა არ მოგვარდება, არავითარი აზრი არ ექნება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე რაიმე წინადადების განხილვას. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოთა შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება უწინარესად საერთაშორისო სამართლებრივი აქტია. ამიტომ ხელშეკრულების დამდები მხარეები სრულფასოვანი, სუვერენული, საერთაშორისო სამართალსუბიექტის ნიშნებით აღჭურვილი სახელმწიფოები უნდა იყვნენ.

— როგორ გესახებათ თავისუფალი საქართველო თავისუფალ სახელმწიფოთა მსოფლიო ოჯახში? მცირერიცხოვნობა, მრავალეროვნულობა, გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი კაპიტალია, თუ უარყოფითი ფაქტორი, დისონანსს შეგვიქმნის ეს, თუ სტიმულს მისცემს საქართველოს აღორძინებას?

— არა მგონია სწორი იყოს საკითხის ასეთნაირად დაყენება. რა იქნება კაპიტალი და რა უარყოფითი ფაქტორი. — ეს უწინარესად სწორედ ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ჩვენს გონიერებაზე, პოლიტიკურ სიბრძნეზე, ალღოზე, კულტურაზე, კომპეტენტურობაზე, რეალიზმის გრძნობაზე, მსოფლიოსა და სამეზობლოში მიმდინარე პროცესების სწორ შეფასებაზე იქნება უპირველესად და უმთავრესად დამოკიდებული, თუ როდის გახდება საქართველო ცივილიზებული მსოფლიოს სრულუფლებიანი წევრი. პირველ რიგში ჩვენი მატერიალური და სულიერი პოტენციალის სრულად გამოყენებაზე, შრომისმოყვარეობაზე, ჭეშმარიტ პატრიოტიზმსა და მშვიდობაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი მომავალი ქართულ მიწა-წყალზე.

ვიმეორებ, ყველაფერი ჩვენზე, ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული, და უდიდეს, გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ, თუ ერთად არ ვიქნებით ერი და ბერი, თუკი იმძლავრეს ვიწროპარტიული, ამქრული ინტერესები და ამბიციები, პატივმოყვარეობა, რის სავალალო მაგალითიც, სამწუხაროდ, ერთი და ორი როდი გვაქვს ჩვენს ხანგრძლივ და დრამატულ ისტორიაში.

რაც შეეხება მცირერიცხოვნობას, მრავალეროვნულობასა და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, უწინარესად ეს ფაქტორებიც ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. ისინი ერთ მუშტად უნდა გვკრავდნენ, გვამტკიცებდნენ, სიცოცხლესა და რეალიზმის გრძნობას გვმატებდნენ.

— ბატონო გივი, ცხადია, კომპარტიის საარჩევნო პროგრამა გვერდს ვერ აუვლიდა მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების განსაზღვრა-ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. რამდენად არის გათვალისწინებული პროგრამულ მიდგომებში თქვენი თვალსაზრისი?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თითოეული დებულება, რომელსაც საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა შეიცავს, მრავალი ადამიანის ნაფიქრალ-ნააზრევია. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორად არ მოვიქცევით, თუ მასში კონკრეტულად ვისიმე თვალსაზრისის ძიებას დავიწყებთ. პროგრამის შემუშავებისას ყველანაირად ვერიდებოდით ცრუ იდეალებს, ილუზიებს, ყალბ პათეტიკას, ვცდილობდით რეალისტურად წარმოგვედგინა როგორც ამჟამინდელი რეალიები, ისე ახლო და შორეული პერსპექტივები.

ასეთი მიდგომა [illegible] ერმა თვისებრივი [illegible] ბების გამოხატულებაა, ახლა რომ მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიაში, რომელიც მკვეთრად შემობრუნდა ეროვნული პრობლემებისაკენ და გაბედულად იცილებს თავიდან წარსულის მძიმე მემკვიდრეობას.

ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც გაეცნობა წინასაარჩევნო პროგრამას, სადაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეროვნული თვალთახედვითაა დანახული და დასმული ყველა სადღეისო თუ სამომავლო ამოცანა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ასეთი მიდგომა გვავალებს, კვლავაც პატივისცემით მოვეკაყოთ აფხაზოს, ოსს, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის წარმომადგენელთა ინტერესებს, თან უფლებებს, ენას, კულტურასა და ტრადიციებს.

საქართველოს კომპარტია თავის უპირველეს და უმთავრეს ამოცანად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამ კურსს ალტერნატივა არა აქვს. იგი შეუქცევადია.

— და ბოლოს, როგორია თქვენი პროგნოზები საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით?

— ძალზე ძნელია რამდენადმე სწორი პროგნოზების გაკეთება, მით უფრო ახლა, როცა საარჩევნო ბრძოლაში თითქმის სამი ათეული პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია მონაწილეობს. გარდა ამისა, არჩევნების წინ, ალბათ, არც არის საჭირო წინასწარი ვარაუდების საჯაროდ გამოთქმა. ამან შეესაძლოა, ერთგვარი გავლენა მოახდინოს ხალხის თავისუფალ არჩევანზე, მისი ნება-სურვილის გამოხატვაზე.

ერთი რამ კი უდავო უნდა იყოს ყველასთვის — საქართველოს მომავალი, მისი უზენაესი მიზნებისა და ინტერესების გაბატონებულობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გორი იქნება ახალი პარლამენტის შემადგენლობა, რამდენად სრულად იქნება მასში თავმოყრილი ქართველი ხალხის ინტელექტუალური და ზნეობრივი პოტენციალი.

ალბათ, დამეთანხმებით, ერთობ დიდია ამ პოტენციალში საქართველოს კომპარტიის წილი: ვფიქრობთ, ჩვენი ამომრჩევლები საკმარის საპარლამენტო მანდატებს მოგვცემენ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, მისი საიმედო მომავლის შენებას მოვახმაროთ ეს დიდი ეროვნული სიმდიდრე. ჩვენი თავი რომ ჩვენადვე გვეყოდნეს, არჩევნებში სრულიად საქართველომ, მისმა ხალხმა და საარსებო ინტერესებმა უნდა გაიმარჯვოს. სწორედ ეს უნდა იყოს თითოეული პოლიტიკური პარტიის, თითოეული საზოგადოებრივი პოლიტიკური გაერთიანების, თითოეული მამულიშვილის უპირველესი საზრუნავი.

— ბატონო გივი, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ღმერთმა ინებოს და ყველაფერი კეთილად დამთავრდეს — სრულიად საქართველომ გაიმარჯვოს!

საბაზრო ეკონომიკა და კანონი

ვერიდოთ უსისტემობას, შეუთანხმებლობას

რესპუბლიკა უმნიშვნელოვანესი მოვლენის — დამოუკიდებლობის გამოცხადების მოლოდინშია. საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა მიიღოს კანონები, რომლებიც იურიდიულად დამკვიდრებენ რესპუბლიკის სუვერენიტეტს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების“ კანონს, რომლის პროექტიც პრესაში გამოქვეყნდა.

პროექტის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სუვერენული სახელმწიფო, ახორციელებს დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ემყარება მისი ხალხის საარსებო სივრცის, საწარმოო რესურსებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების უცილობელ და განუყოფელ საკუთრებას. პროექტში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის დიდნიშნელოვანი პირობაა რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება. „ჯანსაღი ეკონომიკური ბაზის გარეშე ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა საბოლოო ანგარიშით ფიქციაა.

ამჟამად რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძველი არა გვაქვს არც რესპუბლიკაში, და არც მთლიანად ქვეყანაში. ცხადია, რომ ამასთან დაკავშირებით უახლოეს ხანს უსათუოდ უნდა განხორციელდეს სამეურნეო კანონმდებლობის რადიკალური განახლება.

საჭიროა მივიღოთ ახალი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც ახლებურ ეკონომიკურ ურთიერთობას შეესატყვისება, ვინაიდან ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირება მხოლოდ სამართლებრივი ფორმით ხორციელდება.

ამასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლიო სტატია „ბაზარი — იურისტთა აზრით“, რომელიც მიმდინარე წლის 7 ივლისს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“. მისი ავტორები ვ. კუდრიავცევი, ს. ალექსეევი, ი. კალმაკოვი და ვ. იაკოვლევი გვთავაზობენ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემომუშაოთ და მივიღოთ სსრ კავშირის სამოქალაქო კანონთა კრებული.

ამ წინადადების ვერ დავეთანხმებით. საბაზრო ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაცია დღესდღეობით ვერ განხორციელდება საერთო-საკავშირო კანონმდებლობის დონეზე, ეს უშუალოდ ეწინააღმდეგება რესპუბლიკებში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც ცნობილია, ჯერ ექვსმა რესპუბლიკამ — რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ, ბელორუსიამ, მოლდოვამ, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა კანონმდებლურად გამოაცხადეს თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. ეს ნიშნავს, ამავე დროს რომ თვით რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ კანონები, რომლებიც იმოქმედებს მათს ტერიტორიებზე, მით უმეტეს — ეკონომიკის სფეროში. ეს პირდაპირ არის ნათქვამი საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონის პროექტის მე-2 მუხლშიც, რომელსაც „საქართველოს სსრ ეკონომიკური კანონმდებლობა“ ეწოდება.

სსრ კავშირის სამოქალაქო კანონთა კრებული ფორმალურადაც კი მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯია. როგორც ცნობილია, ამჟამად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი სამოქალაქო სამართლის კოდექსი. აღნიშნული კანონით მოწესრიგებულია ქონებრივი ურთიერთობანი, მათ შორის სახალხო მეურნეობის სფეროშიც. სსრ კავშირის მასშტაბით არის დამტკიცული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ძირითად დებულებებს.

სსრ კავშირის სამოქალაქო კანონთა კრებულის იდეა უარყოფილი უნდა იქნეს სხვა, არა ნაკლებ არსებითი მოსაზრებების გამოც. რეგულირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია გულისხმობს სამეურნეო ურთიერთობის არსებობას არა მარტო ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურადაც კი.

ამავე დროს, სამოქალაქო კანონმდებლობა ურთიერთობას არეგულირებს მხოლოდ ჰორიზონტალურად, ე. ი. არეგულირებს წმინდა საბაზრო ურთიერთობას. რაც შეეხება რეგულირებულ საბაზრო ურთიერთობას, რომელზე გადასვლაც აქვს დაგეგმილი მთავრობას, მათ ვერ უზრუნველყოფთ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებით. ეს შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ სამეურნეო კანონმდებლობით, რომელიც ურთიერთობებს არეგულირებს როგორც ჰორიზონტალურად (დამოუკიდებელ საწარმოთა სახელშეკრულებო ურთიერთობა), ისე ვერტიკალურადაც (მთავრობის აქტების საფუძველზე) რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ბაზარზე. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელი და პრაქტიკულად აუცილებელია სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებანი და ორგანიზაციები იქმნება სსრ კავშირის ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახელმწიფოთაშორისი ან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. ნებისმიერი საწარმოს მიერ ლიცენზირებულ და კვოტირებულ საქონელზე საგარეო-სავაჭრო გარიგებათა დადებისას საჭიროა სათანადო კომპეტენტური ორგანოს თანხმობა.

ვფიქრობთ, რომ სანამ საბაზრო ურთიერთობაზე გადავიდოდეთ, საქართველოში (ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში) უნდა შემუშავდეს და მიღებულ იქნეს საეკონომიკო კანონი ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების დარგში.

„პრავდაში“ გამოქვეყნებული ზემოხსენებული სტატიის ავტორები ცდილობენ, როგორმე დაასაბუთონ სსრ კავშირის სამოქალაქო კანონთა კრებულის მიღების წინადადების მიზანშეწონლობა და იშველიებენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას, სადაც მათი აზრით, სამეურნეო ურთიერთობას სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკებში სამოქალაქო კოდექსებთან ერთად არის სავაჭრო კოდექსები, რომლებიც არსებითად არეგულირებენ სამეურნეო ურთიერთობებს (ხელშეკრულებანი ვაჭრობის, მომსახურების სფეროში — ეს იგივე სამეურნეო ურთიერთობაა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ამჟამად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკის რეგულირების სფეროში ფუძემდებელი კანონის — საქართველოს სამეურნეო კოდექსის მიღებას.

მაგრამ სანამ სამეურნეო კოდექსს მივიღებდეთ, უნდა შევიმუშავოთ ზოგადი მეცნიერული საკანონმდებლო კონცეფცია. ეს აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონშემოქმედებითს პრაქტიკაში იყო ამ ბოლო ორი წლის მანძილზე.

როგორც ვიცით, ამ ხნის განმავლობაში სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო ორმოცდაათამდე კანონი და დადგენილება. კერძოდ, საკუთრების, მიწის, ჯარის, საწარმოს და სხვა კანონები. ამავე დროს ზუსტი გეგმისა და საშუშაოთა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის უქონლობას შედეგად მოჰყვა უსისტემობა, შეუთანხმებლობა, დუბლირება და წინააღმდეგობანი სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. არცთუ იშვიათად საერთო-საკავშირო კანონები უგულებელყოფენ მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებსა და სუვერენულ უფლებებს, რაც სამართლიანად აღნიშნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმოადგილემ ომარ ვარძელაშვილმა.

ბილია, საბჭომ ერთდროულად მიიღო ორი გადაწყვეტილება: 1991 წლიდან რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება თუ იგი იქნება მიღებული, უნდა ეფუძნებოდეს მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ცენტრალიზებული წესით შეიძლება რეგლამენტირებულ იქნეს მხოლოდ ის საკითხები, რომლებსაც სუვერენული რესპუბ

ვიყოთ ერთმანეთისადმი ფაქიზიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული „კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა.

გამოცხადდა რა პრესის თავისუფლება, ყოველგვარი ცენზურის დაუშვებლობა, კანონი ამით აღიმავლებს საჯაროობის პროცესს, ანიჭებს მას მტკიცე სამართლებრივ საფუძველს, სახავს შესაძლებლობებს, რომლებსაც დიდი ხანია ელოდნენ ჟურნალისტები, გამომცემლები, საერთოდ მთელი საზოგადოება. უკვე რეგისტრირებულია ათობით ახალი გამოცემა, რომლებსაც ქმნიან როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ისე ცალკეული მოქალაქენი.

ამიერიდან, თითქოს და, დამფუძნებლების, რედაქციების, გამომცემლების, მკითხველების ურთიერთობა უნდა განისაზღვრებოდეს კანონით და მხოლოდ კანონით. მაგრამ, როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საჯაროობის, მოქალაქეთა უფლებებისა და მიმართვების საკითხთა კომიტეტის განცხადებაში, კომიტეტი იღებს სიგნალებს, რომ არის სერიოზული უთანხმობებანი ჟურნალისტურ კოლექტივებსა და დამფუძნებლებს, ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელებს შორის. მთელ რიგ ოლქებსა და ქალაქებში მწვავდება პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბრძოლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფლობის უფლებისათვის. მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რაიონული პრესა.

ზოგიერთი სახალხო დეპუტატთა საბჭო ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს პრესაზე, ზოგჯერ კი სურს უბრალოდ განდევნოს არასასურველი „კორესპონდენტები, თუ ისინი კრიტიკულად აფასებენ მათ საქმიანობას.

ამასთან იმიზეზებენ იმას, თითქოს ჟურნალისტები ამახინჯებენ ფაქტებს, აქვეყნებენ ტენდენციურ ინფორმაციას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევებში კანონი პრესის შესახებ ითვალისწინებს პასუხის ან უარყოფის და, ბოლოს, სასამართლოში მიმართვის უფლებას. მხოლოდ ასეთი სამართლებრივი საშუალებებით და არა ადმინისტრაციული ძალის ზეგავლენის გზით უნდა წყდებოდეს ამგვარი კონფლიქტები, ხაზგასმულია განცხადებაში.

ნაკლებად შემაშფოთებელი როდია ფაქტები, ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, როცა პრესაზე ზეგავლენას ახდენს მიტინგური სტიქია: შეუწყნარებლობა, ზოგიერთი საზოგადოებრივი მოძრაობის სურვილი, რადაც უნდა დაუჭდეს უკარნახოს თავისი ნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონით გამოცხადებულ პრესის თავისუფლებას.

არის შემთხვევები, როცა ხოციელდება ჟურნალისტთა დისკრიმინაცია მათი პარტიული კუთვნილების მიხედვით. ასეთი ფაქტები სსრ კავშირის კონსტიტუციის, შრომაზე თითოეული მოქალაქის უფლების უხეში დარღვევაა.

რთულად მიმდინარეობს უკვე არსებული პერიოდული გამოცემების რეგისტრაციის პროცესი. ჟურნალ-გაზეთების ცალკეული შრომითი კოლექტივები აცხადებენ, რომ არ სურთ იმუშაონ ორგანოებთან, რომლებსაც წინათ მათ დამფუძნებლებად მიიჩნევდნენ. გარკვეულ წილად ეს პროცესი კანონზომიერია და, რა თქმა უნდა, იგი უმტკივნეულო ვერ იქნება. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ამ პროცესში ემოციები და ამბიციები არ ჯაბნიდეს საღ აზრს, რათა ამგვარი დავა საქმიან ვითარებაში წყდებოდეს სამართლებრივ საფუძველზე და ეწინარეს ყოვლისა მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით.

სიტუაცია უკიდურესად მწვავდება იმითაც, რომ პრესა, არსებითად, პირველი გადადის საბაზრო ურთიერთობაზე. კავშირგაბმულობის საქინისტროს მომსახურების, ქაღალდის, პოლიგრაფიული სამუშაოების ღირებულების ზრდამ გააძვირა პერიოდული გამოცემები, რაც განსაკუთრებით აზარალებს მოსახლეობის ხელმოკლე ფენებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა დაპირებანი, რომ მოიფიქრებდნენ მოსახლეობისათვის ხელმოწერის ხარჯების ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხს, დაპირებად დარჩა. ამის შედეგად საჯაროობას უდიდესი ზიანი მოსდის. ფასების მომატება, ხელმოწერის კამპანიის ვადების შეკვეცა მკვეთრად ამცირებს ტირაჟებს, რაც მთელ რიგ გამოცემებს, მათ შორის იმ გამოცემებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამამულო კულტურის განვითარებში, დახურვის პირას აყენებენ. და თუ დღეს სერიოზულად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საჭიროა ბაზრის პირობებში დაცვაცათ და მხარი დავუჭიროთ კულტურას, ეს უნდა იხებოდეს ბეჭდვით გამოცემებსაც.

შექმნილ პირობებში კომიტეტმა საჭიროდ ცნო გააგრძელოს ხელმოწერის კამპანიის ვადები 15 ნოემბრამდე მაინც.

დღეს პრესა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ყველა პრობლემა უნდა გადაიჭრას „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ მოქმედი კანონის საფუძველზე, ხაზგასმულია განცხადებაში. მთავარი ორიენტირად ის მიგვაჩნია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღეს აქტიურად უწყობენენ ხელს სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას.

მრავალპარტიულობის პირობებში ყველა ორგანოზაცია, მათ შორის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებიც, პოლიტიკას არ უნდა აგებდნენ პრესასთან კონფრონტაციაზე.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საჯაროობის, მოქალაქეთა უფლებებისა და მიმართვების საკითხთა კომიტეტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამფუძნებლებს, რედაქციებს, გამომცემლებს მოუწოდა იყვნენ ერთმანეთისადმი ტაქტიანები, იხელმძღვანელონ იმით, რომ ყველა შემთხვევაში საჭიროა პატიოსნება მკითხველის წინაშე, მისი ინტერესების დაცვა, საზოგადოების განახლების კურსის მტკიცე მხარდაჭერა.

(საკადესი).

ტექნიკური უნივერსიტეტი: მეცნიერებისათვის საჭიროა თავისუფლება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ავტონომია მიენიჭა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გოჩა ჩოგოვაძემ საქინფორმის კორესპონდენტთან ირინე გაბუნიასთან საუბრისას განმარტა, თუ რა არის უმაღლესი სასწავლებლის ახალი სტატუსის არსი და უპირატესობა.

— ამიერიდან ჩვენ ვართ იურიდიული პირის უფლების მქონე თვითმართველი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს თავისი წესდებისა და რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. ავტონომიამ მოქმედების აუცილებელი თავისუფლება მოგვიტანა იმ მიზნების განხორციელებაში, რომლისთვისაც 1990 წლის 5 იანვარს დაარსდა რესპუბლიკაში ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე. იდეა ის იყო, რომ შეგვექმნა საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების დონის განათლების ცენტრი, მაგრამ ცენტრალიზებული სტრუქტურების დოგმატიზმი და ინერცია ბევრ პროფესიულ წამოწყებას აფერხებდა უმაღლეს სასწავლებელში. ახალი დისციპლინების შემოღების ყოველგვარ ცდასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო სერიოზულ რეორგანიზაციაზე, ხანგრძლივი ბიუროკრატიული ბარიერები ეღობებოდა.

ახლა კი უმაღლეს სასწავლებელს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკა სამეცნიერო-პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობის ყველა საკითხში.

— ვინ დააფინანსებს უმაღლეს სასწავლებელს?

— სახელმწიფო, როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. სახელმწიფოვი იქნება ჩვენი ძირითადი შემკვეთი სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადებაში. ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა მასთან ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან, აგებს სახელშეკრულებო საწყისებზე.

— განათლების სისტემის კრიზისი დიდად იყო განპირობებული დაფინანსების ყბადაღებული ნარჩენობითი პრინციპით. ვიმეფოვნებთ, რომ მდგომარეობა შეიცვლება და სახელმწიფო სოლიდურ კაპიტალდაბანდებებს გაიღებს განათლების სისტემისათვის.

— სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შეცვლის მეთხებით ახლებურად შეფასდა განათლების, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული ფაქტორის როლი. წინათ ასეთი ცნება არ არსებობდა. და ეს დაფინანსების ნარჩენობითი პრინციპის მიზეზიცაა. დღეს კი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული განათლების სისტემის მდგომარეობაზე.

ბაზარი უმოწყალოა. იგი გვაკარნახებს თავის პირობებს, როცა მოთხოვნილება იქნება მხოლოდ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომელთა მომზადება არ ძალგვიძს უწინდელი სახსრებით. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს ბიუჯეტს, რომლის წარდგენასაც ვაპირებთ.

— როგორ აპირებს უმაღლესი სასწავლებელი ამ სახსრების გამოყენებას?

— ძირითადი ნაწილი, ცხადია, მის განვითარებას მოხმარდება. უნივერსიტეტი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ცხრა დამოუკიდებელი ინსტიტუტის გაერთიანება, რომლთაგან თითოეულს უფლება აქვს შეიმუშაოს საკუთარი სასწავლო და სამეცნიერო პროგრამები. გაიფართოოს მატერიალური ბაზა, შექმნას ფილიალები და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უნდა წარმართოს მათი მუშაობა, ამასთან განსაზღვროს პრიორიტეტული დარგები საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სერიოზული როლი განკუთვნება სოციალური საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც საკმარისად დაგროვდა. კერძოდ, პედაგოგთა და სტუდენტთა მატერიალური სტიმულირების პრობლემა. უნდა შეიქმნას პროფესიული ზრდით სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების მექანიზმი. ვფიქრობთ, რომ მასწავლებელთა შერჩევის კონტრაქტული სისტემა ამას ხელს შეუწყობს.

უნივერსიტეტი თავადაც აპირებს სახსრების გამომუშავებას, რისთვისაც შეასრულებს სამეურნეო-სახელშეკრულებო თემებს, შექმნის ერთობლივ ხაწარმოებს. ეს იღებს უცხოელ სტუდენტებს. ეს მისი განვითარების დამატებითს შესაძლებლობებს შეგვიქმნის.

— რა ხიახლეა უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის კონცეფციაში?

— ალბათ, ეს გამოიხატება სამი ძირითადი დებულებით: ძლიერი სასწავლო პროცესი, ძლიერი სამეცნიერო ბაზა, საერთოდ ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიზაცია.

— ძლიერი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს პრაქტიკასთან თეორიის მაქსიმალურ დაახლოებას. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკი იქნება თვით უნივერსიტეტის საწარმოო ბაზის განვითარებაზე. მაგალითად, უკვე წელს ენერგეტიკული ფაკულტეტის გამგებლობაში გადაეცემა თეთრი ხევის ჰიდროელექტროსადგური, სამთო ფაკულტეტისათვის კი აშენდება შახტი ლაბორატორია. კათედრებისა და ფილიალების ქსელი გაფართოვდება უშუალოდ საწარმოებში.

სიახლეა აგრეთვე სწავლების ორსაფეხუროვანი სისტემა, რომელთა ვადა იქნება ხუთი და ექვსი წელი. პირველი საფეხური ამზადებს ინჟინერ-კონსტრუქტორებს და ტექნოლოგებს, მეორე — მკვლევარ ინჟინრებს.

პრიორიტეტული როლი სწავლებაში მიენიჭება მეცადინეობის ინდივიდუალურ ფორმებს, ამასთან, სტუდენტებს მიეცემათ დისციპლინების თავისუფალი არჩევის უფლება, თანაც შეეძლებათ შეიმუშაონ და უნივერსიტეტის საბჭოს წაუყენონ მათს პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული წინადადებები და ერთობლივად განიხილონ ისინი.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში საჭირო შეიქმნა ჩვენი აღსაზრდელების ეკონომიკური ცოდნის გაღრმავება, ამიტომ შემოვიღებთ ინჟინერ-ეკონომისტთა სპეციალობებს, მოქმედებს ეკონომიკისა და საქმიანი ურთიერთობის ფაკულტეტი.

მომავალში შეიქმნება მენეჯერთა და უმაღლესი სკოლა, რომლის კურსდამთავრებულები მომავალში შეადგენენ რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციის მმართველ პერსონალს.

ტექნიკური უნივერსიტეტის ზრუნვის საგანია მისი აღსაზრდელების საერთო ინტელექტუალური და კულტურული დონე. მის კედლებში უნდა აღიზარდონ არა მარტო მაღალკვალიფიციური ინჟინრები, არამედ ინტელიგენტი ადამიანებიც. ამ მიზნით უმაღლეს სასწავლებელში დაიწყება ისეთი ჰუმანიტარული დისციპლინების შესწავლა, როგორიც არის, ტექნიკური დიზაინი, საქართველოს ისტორია და კულტურა, ესთეტიკა, სოციოლოგია და უცხო ენები.

ქართული სიმღერა გასკეთის ცის ქვეშ

ფოლკლორული ფირმა „თბილისი“, რომელიც სულ ახლახანს კონსტუდია „ქართულ ფილმთან“ შეიქმნა, საზღვარგარეთ გაემგზავრა. ქართველი მომღერლები მონაწილეობას მიიღებენ ბასკეთის ერთ-ერთი პოპულარული ფოლკლორული ანსამბლის საიუბილეო კონცერტებში. აქ თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ხალხური შემოქმედებითი კოლექტივები. 23 ოქტომბრიდან ბასკეთის ცის ქვეშ აჟღერდება უბერებელი ქართული ხალხური სიმღერა, როგორც ხალხთა დაახლოებისა და მეგობრობის კეთილი დესპანი. და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დიდი ხანია მეცნიერები იკვლევენ ბასკეთისა და საქართველოს შესაძლო ნათესაობას, მაშინ გასაგებია ის რეზონანსი, რომელსაც გამოიწვევს შორეული კოლხთა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური კულტურის ნიმუშების გაცნობა...

ფოლკლორული ფირმა „თბილისი“ მუსიკალური ხელმძღვანელია რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რობერტ გოგოლაშვილი. ფირმის მიზნებსა და ამოცანებზე გვესაუბრება ფირმის დირექტორი მიხეილ გრიშკაშვილი.

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ქართულ ხალხურ მუსიკას. კონცერტებს გავმართავთ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. მოვემსახურებით კინოსტუდიას ფილმების მუსიკალურ გახმოვანებაში. გარდა ამისა მოვიძიებთ ეროვნული ფოლკლორის ნიმუშებს, განზრახული გვაქვს ფაბრიკა-ქარხნებში გავმართოთ ფოლკლორული საღამოები, ლექცია-კონცერტები, გავუღვიძოთ ახალგაზრდობას ეროვნული საუნჯის სიყვარული. გეგმაში გვაქვს გადავიღოთ ვიდეოკასეტები, ჩავწეროთ კომპაქტური დისკები, ფირფიტები და გავავრცელოთ ისინი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ეს სამომავლო გეგმებია... წინ კი ბასკეთია, სადაც 28 ოქტომბრამდე გავმართავთ კონცერტებს.

(საქინფორმი).

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ქართული თეატრის განვითარებასა და პოპულარიზაციაში თვალსაჩინო წვლილისათვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის წევრებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა“ — მალხაზ ალექსანდრეს ძე **ბებურიშვილს** — მსახიობს, გურანდა გიორგის ასულ **გაბუნიას** — მსახიობს, თამარ ერმილეს ასულ **სხირტლაძეს** — მსახიობს, ნინო ვიქტორის ასულ **ჩხეიძეს** — მსახიობს;

— „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა“ — გივი გიორგის ძე **გაჩიჩილაძეს** — სამუსიკო ნაწილის გამგეს;

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა“ — ამირან ალექსანდრეს ძე **ბუაძეს** — მსახიობს, გიორგი თენგიზის ძე **ბურჯანაძეს** — მსახიობს, ვაჟა დავითის ძე **გელაშვილს** — მსახიობს, ვახტანგ ზაალის ძე **თანდილაშვილს** — მსახიობს, შოთა იაკობის ძე **შვენიერაძეს** — მსახიობს, ლამარა ვლადიმერის ასულ **ყარასაშვილს** — მსახიობს, რევაზ მირიანის ძე **ჩხიკვიშვილს** — მსახიობს.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი კოლექტივის წევრებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა“ — ქეთევან გაბრიელის ასულ **კიკნაძეს** — მსახიობს, ლევან ნაფტალის ძე **ნამგალაშვილს** — დამდგმელ ოპერატორს;

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა“ — მიხეილ გერმანეს ძე **კობახიძეს** — დამდგმელ რეჟისორს.

ჯაზ-ორკესტრის ახალი სარბიელი



ახლახან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოეწყო ახალგაზრდული ცენტრის „ფერნის“ გახსნისადმი მიძღვნილი კონცერტი. მასში მონაწილეობდნენ ამავე სასწავლებლის შემოქმედებითი გაერთიანებები: ვაჟთა სახალხო კაპელა (ხელმძღვანელები — ციცინო ფალავანდიშვილი და ირაკლი კიკნაძე), სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი — თემურ გურგენიძე) და საესტრადო ჯაზ-ორკესტრი (ხელმძღვანელი — ირაკლი კალმახელიძე).

ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდულ ცენტრს აქვს თავისი ჰიმნი და ემბლემა — „სილაღე და თავისუფლება“, ემბლემის ავტორია მხატვარი ნიკო ედიბერიძე, რომელიც დიდად ეხმარება „ფერნს“.

ახალგაზრდული ცენტრის „ფერნის“ თაოსნობით აღორძინდა ადრე არსებული ჯაზ-ორკესტრიც.

ბოლო ხუთი თვის მანძილზე დაარსდა ანსამბლი „ბინგ-ბენდი“, რომელს თაოსნები არიან ბოლოტექნიკურ ინსტიტუტში აღზრდილი ჯაზური საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელი ირაკლი კალმახელიძე და ილიეტ ტუღუში.

საოჯახო გამოსულმა ანსამბლმა და მისმა რეპერტუარმა ძალზე მოხიბლა მაყურებელი.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზ-ორკესტრი ერთადერთი იყო საქართველოში. თავის დროზე მისმა შემქმნელებმა კონსტანტინე ბევზნერმა და ილიეტ ტუღუშმა დიდი შრომა გასწიეს ანსამბლის ასაზმიანებლად. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. და აი, ანსამბლის აღდგენის შემდეგ მისი წევრები პირველად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. მომზადების პირველ ეტაპზე მათ ძირითადად ყურადღება გაამახვილეს ნომრების საშემსრულებლო დონის ამაღლებაზე.

ადრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემოქმედებითს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საესტრადო ორკესტრს, რომლის პოპულარობამ, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, დიდი სახელი დაუმკვიდრა მას.

1948 წლიდან ოცდაორი წლის განმავლობაში ინსტიტუტის „ჯაზ-ორკესტრს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იოსებ ტუღუში ხელმძღვანელობდა. ორკესტრის წარმატებები, თავიდანვე გაჩაპირობა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ნაკადმა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხრივ დიდმა ხელშეწყობამ.

ორკესტრმა მოკლე დროში პოპულარობა მოიპოვა, მიიზიდა არა მარტო ინსტიტუტის სტუდენტობა, არამედ, სხვა სასწავლებლების ჯაზის მოყვარულებიც. ამავე ორკესტრში მიიღეს ნათლობა ნინი ბრეგვაძემ, მედეა გონგლაშვილმა, ნინო ჯადუგიშვილმა, ქართლოს კასრაძემ, ირმა სოხაძემ, გიული ჩოხელმა, მიტო ასათიანმა, ჯილდა დათუაშვილმა და სხვებმა.

ორკესტრი ნიჭიერი ახალგაზრდების ძიების ერთგვარ ლაბორატორიად იქცა ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად და დაოსოსტატებლად. მისი ბევრი „კურსდამთავრებული“ წარმატებით ემსახურება პროფესიულ ხელოვნებას. ასეთები არიან მარიკა მაღლაფერიძე, ლოლა ხომანტი, თამაზ ლაფერაშვილი, აბესალომ ლორია, ბორის გეგეშიძე, ფილარმონიის გენერალური დირექტორი დორიან კიტია, საქართველოს სახელმწიფო გაერთიანების დირექტორი ბორის თბილელი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე, ამავე თეატრის დირექტორი გაიოზ კახდელაკი და სხვები.

ორკესტრის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ვოკალური ტრიოს გამოჩენა ჯემალ სუხიშვილის, მერაბ მახარაძისა და ივიკო საყვარელიძის შემადგენლობით, რომელთაც შემდგომში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. „ცისფერი ტრიო“ ხომ მათი გულში ჩამწვდომი სიმღერებისა და მდიდარი ტრადიციების გაგრძელებაა და ისიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითშემოქმედებაში ჩაისახა.

1957 წელს მოსკოვში სტუდენტებისა და ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე აქაურმა ორკესტრმა ერთადერთი ოქროს მედალი დაისაკუთრა, ხოლო მეექვსე მსოფლიო ფესტივალის კონკურსში — მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები.

ამჟამინდელ კონცერტზე ვაჟთა სახალხო კაპელამ და სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმაც დახვეწილი ოსტატობითა და მხატვრული დონით გამოიჩინა თავი და წარმოადგინა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ჯაზ-ორკესტრის მონაწილეებმა შეასრულეს გლენმილერის პიესები კინოფილმიდან „მზიური ველის სერენადა“, დიმტრი არაყიშვილის „ვარსკვლავიანსა ღამეს“, კაუნდ ბეისის „ბლიუზი“, შუბერტის „სერენადა“, რომელიც ჯაზური ინტერპრეტაციით დაამუშავა გივი გაჩეჩილაძემ.

შთამბეჭდავი იყო მომღერლების მანანა ჩიტაურის, თამრიკო კოროშინაძის, ნუკრი კაპანაძისა და ირაკლი ჭაბუკიანის სიმღერები.

რამდენიმე მუსიკისა და ტექსტის ავტორი იყო ანსამბლის ხელმძღვანელი ირაკლი კალმახელიძე.

როგორც ცნობილია, ამ დიდი კოლექტივის წინამორბედს საკმაოდ გრძელი გზა აქვთ განვლილი და მნიშვნელოვანი დამსახურება მოუძღვით არა მარტო ტექნიკური უნივერსიტეტის წარმოსაჩენად, არამედ საერთო ქართული კულტურის გამოსამზეურებლადაც.

მართალია, სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ეს საოცარი ცენტრი შეიქმნა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ.

დღეიდან ხელოვნების წარმოსაჩენად და კონტაქტების დასამყარებლად დიდი ასპარეზი ეშლება მსოფლიო სარბიელზე.

მსოფლიოს სხვადასხვა სასწავლებლებთან და კულტურულ ცენტრებთან ახალი კონტაქტები უნდა დაამყაროს, და ფიქრობენ კიდევ უფრო მეტი სახელი შეძინონ როგორც მშობლიურ სასწავლებელს, ისე მთლიანად ქართულ კულტურას.

ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში წარმოდგენილი იყო თვითნასწავლ მხატვართა გამოფენა, რომელიც თანამშრომლობს ამ ცენტრთან. ყველა ამ ღონისძიებას უნარიანად უწყობს ხელს ამ ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი თემურ სიგუა. საქართველოს ძთიანეთიდან ჩამოუტანიათ ფარდაგები, ხის ჩუქურთმის ნიმუშები და კერამიკული ჭურჭელი.

წლების მანძილზე ტექნიკური უნივერსიტეტის ჯაზ-ორკესტრში ახალგაზრდობის მრავალმა თაობამ გაიარა. ბევრისათვის სცენა მხოლოდ გატაცებად დარჩა, ბევრმაც იგი ცხოვრების გზად აირჩია და პროფესიონალი გახდა. მაგრამ ყველა მათგანისათვის დღესაც სასიამოვნო მოგონებად რჩება ორკესტრში გატარებული სიცოცხლით, ხალისითა და სიხარულით სავსე დღეები.

იზა ჯაფარიძე.

* * *

სურათზე: მღერის ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა სახალხო კაპელა.

თეიმურ ნიკოლაიშვილის ფოტო.

ჟურნალისტი
საკადესი იუწყება
25 ოქტომბერი

საქართველოს დამოუკიდებლობა

მწვავე კამათი სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკაში

ამ დღეებში სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე, საკავშირო პრესაში და ტელევიზიით ცხარე კამათი გაიმართა სამშვიდობო კონფერენციის გამო, რომელიც 12-19 ოქტომბერს მოეწყო კანზასის შტატში და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. სახალხო დეპუტატმა ერთხანმა მწვავედ გაილაშქრა ამ აქციაში მრავალრიცხოვანი საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობის წინააღმდეგ. კონფერენციის შესახებ. საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა მოგვაწოდა მასალა, რომელიც, მისი აზრით, უფრო რეალურად ხსნის სახალხო დეპუტატების აღშფოთების ჭეშმარიტ მიზეზს, ვიდრე უსაფუძვლო პრეტენზიები საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობის გამო. კონფერენციის მასალები უფრო ფართოდ გაშუქდება საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საქართველოს დელეგაციის მოთხოვნით კონფერენციის რეზოლუციაში შეიტანეს წინადადება, რომ სსრკ-მა და აშშ-მა უარი თქვან ზესახელმწიფოების როლზე და გადასცენ საერთაშორისო საკითხების რეგულირების ძირითადი ფუნქციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ახლა კი გთავაზობთ სტატიის ნაწყვეტს ამერიკული გაზეთ „ჯორნელ ვორლდდან“ (17 ოქტომბერი) კონფერენციის ერთ-ერთი სხდომის შესახებ.

სემინარმა გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე უფრო სერიოზული წინააღმდეგობანი გამოავლინა საბჭოთა დელეგაციის შიგნით, ვიდრე საბჭოთა და ამერიკული დელეგაციების შორის. საბჭოთა დელეგაციის ზოგიერთი წევრის პოზიცია ეყრდნობოდა იმ პრინციპს, რომ საბჭოთა კავშირის მთლიანობა და ერთიანობა განმტკიცდება, თუკი გამომუშავდება შეთანხმებული, ერთობლივი მიდგომა, კერძოდ შიდაეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ვახტანგ რჩეულიშვილი, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, არ იყო განწყობილი ასე ოპტიმისტურად. მან გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ კონფერენციის მონაწილეები თავის გამოსვლებში ხმარობენ გამოთქმას „საბჭოთა ხალხი“. „ასეთი ცნება არ არსებობს,—თქვა რჩეულიშვილმა — არის ქართველი, რუსი და სხვა ხალხები. მე საეჭვოდ მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იყოს საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი უნდა გახდეს“.

რობერტ ივანოვი, საბჭოთა ოლტორიკოსი და კონფერენციის თანათავმჯდომარე, საბჭოთა მხრიდან მწვავე დისკუსიის ცენტრში მოექცა საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის საკითხის გამო. მისი ოპონენტი იყო საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელი ვახტანგ რჩეულიშვილი.

ივანოვი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი სავაგბო სიტუაციის მიზეზია ეთნიკური უმცირესობათა განშთავისუფლებელი მოძრაობა. მისი აზრით, რამდენიმე რესპუბლიკის გამოყოფას საბჭოთა კავშირიდან უარყოფითად იმოქმედებს დანარჩენი რესპუბლიკების ეკონომიკაზე.

საპასუხო გამოსვლაში რჩეულიშვილმა თქვა, რომ განშთავისუფლებელი მოძრაობა კი არ შლის საბჭოთა ეკონომიკას, არამედ პირიქით, „აუქუღმართებულმა საბჭოთა ეკონომიკამ, ცენტრის ბუნუსურობამ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ნათლად დაადასტურა რესპუბლიკების განთავისუფლების აუცილებლობა. „რუსეთმა უარი უნდა თქვას ზესახელმწიფოს როლზე და მაშინ ყველა პროცესი, მათ შორის რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობის აღდგენაც, თავისთავად და ნორმალურად წარიმართება, მკვეთრად შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობაც,—თქვა რჩეულიშვილმა. — თავის დროზე ასეთ როლზე უარი თქვა ინგლისმა, როდესაც ინდოეთმა მიიღო დამოუკიდებლობა. ბრაზილიის მთავრობას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამდივნოს გაანგარიშებით, ესაჭიროება მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება განვითარებული ქვეყნების მხრიდან, რათა შეაჩეროს ამაზონის დალუპვა: ტყის მასივების აღსადგენად და გაჩეხვისადმი მკაცრი კონტროლის დასაწესებლად წელიწადში 2,2 მილიარდი დოლარი იქნება საჭირო.

ამ გზით განვითარებული ქვეყნები საკუთარ ინტერესებსაც დაიცავენ. ამაზონიის ტყეების უკონტროლო ჩეხვა ხომ იწვევს ნახშირორჟანგის შემცველობის ზრდას ატმოსფეროში და შესაბამისად სათბურის ეფექტის გამწვავებას. თანამგზავრიდან დაკვირვების მონაცემებით, 1978 წლის შემდეგ ამაზონიის ათვისებას თან სდევდა ყოველწლიურად 20 ათასი კვადრატული კილომეტრი ტროპიკული ტყის გაჩეხვა. ამრიგად, უკვე განადგურებულია მსოფლიოში უდიდესი ტყის მასივის თითქმის 8 პროცენტი, რომლის საერთო ფართობი 5 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

სურათზე: უმოწყალოდ ნადგურდება ამაზონიის ტყე.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ფოტოინფორმაცია

ბოლო წლებში ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზის ქვეყნებში 2 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტყე გაჩეხეს და უდაბნოს შემო

კინო

ვიყოთ გულახდილნი

ფიქრები ქართული ფილმების დეკადაზე

ძართული კინო კარგავს მაყურებელს! ეს უკვე ფაქტია და სჯობია მას პირდაპირ შეეხედოთ თვალებში. ქართულ კინოს დახმარება სჭირდება და თანაც სასწრაფოდ. დახმარების პირველი, ყველაზე აღიარებული და საყოველთაოდ ცნობილი გზაა — აქტიური რეკლამა, მაყურებელთან თავად მისვლა და არა პასიური ლოდინი, თვითდინებას მინდობა.

სწორედ ამას ისახავდა მიზნად კინოთეატრ „აპოლოს“ კინოფიკაციის სამართველოს დაქვემდებარებიდან გამოყვანა და უშუალოდ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გამგეობისათვის გადაცემა. ამა წლის მარტის თვიდან კინოთეატრს ტვირთად აღარ აწევს გეგმის შესრულების მძიმე მოვალეობა. ამიერიდან ქართული კინოს კეთილსინდისიერი სამსახური შეიქნა მათი ერთადერთი მოვალეობა.

ამ რამდენიმე თვეში „აპოლოში“ გაიმართა ქართული ფილმების პრემიერები, პრესკონფერენციები, შეხვედრები შემოქმედებით ჯგუფებთან, ჩატარდა გოდერძი ჩოხელის ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება და აი, ახლა, რვიდან თექვსმეტი ოქტომბრის ჩათვლით — ქართული ფილმების დეკადა.

დეკადისათვის შეირჩა 1986-1989 წლებში გადაღებული ცხრა ფილმი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებისა და მოსაზრებების გამო დღემდე არ უნახავთ თბილისელებს.

ცხრა ფილმის მიხედვით მთელ ქართულ კინოზე მსჯელობა ალბათ არ მიგვიყვანს სწორ დასკვნებამდე, არც დეკადის შედეგები იძლევა განზოგადებისა და ფილმის მომავალი ბედის პროგნოზირების საშუალებას და მაინც, დეკადა ბიძგს იძლევა რამდენიმე მოსაზრების გამოთქმისათვის, აი ისინიც:

ქართულ კინოს დღესდღეობით უჭირს. სხვადასხვა ფესტივალების პრიზებითა და საზღვარგარეთის პრესის ამონაკრეფებით თავის მოწონება ვითარებას ვერ ცვლის. ეს ორი, სრულიად სხვადასხვა რიგის მოვლენაა. ფესტივალები რჩეულ ფილმთა ხვედრია, მათ კი ზურგს უნდა უმაგრებდეს არა საფესტივალოდ, არამედ მაყურებლისთვის გამიზნული და მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ფილმების მძლავრი არმია, რადგან, ერთია პროფესიული ჟიური და საფესტივალო პუბლიკა, მეორე — რიგითი მაყურებელი, რომლისთვისაც კინემატოგრაფი კულტურულ და გასაართობ ღონისძიებათა ერთ-ერთი. ჩვეულებრივი სახესხვაობაა. სწორედ ამგვარი ფილმების არმია მოისუსტებს ქართულ კინემატოგრაფში.

ნუ ვაქცევთ ე. წ. მასობრივ მაყურებელს განტევების ვაცად. შეუძლებელია ყველა პოტენციური კინომაყურებელი რთული ფილმების მოყვარულად დავსახოთ. ყოველთვის არსებობდა და უნდა იარსებოს კიდეც სხვადასხვა მაყურებელმა და სხვადასხვა ფილმებმა. მთავარია, ეს სხვადასხვა იყოს მაღალი ხარისხის და იგი იპოვის თავის მაყურებელს.

ვიყოთ გულახდილნი საკუთარი თავის წინაშე და შევეცადოთ საღად შეეხედოთ მოვლენებს: უზრუნველყოფს კი ქართული ფილმი ყოველთვის ამ ხარისხს?

გადავხედოთ ამ კუთხით დეკადაზე წარმოდგენილ ფილმებს:

ალბათ გახსოვთ ნანა ჯორჯაძის გახმაურებული ფილმი „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“. იგი ხუთი წელია მოიკვლევს გზას ეკრანისაკენ. ფილმი მეტად პრესტიჟული ჯილდოს „ოქროს კამერის“ მფლობელია და, მიუხედავად ამისა, დეკადაზე მაინცდამაინც არ ჰყავდა მაყურებელი. შეიძლება ამაზე იმოქმედა იმ ფაქტმაც, რომ ტელევიზიამ საბოლოოდ მაინც დაასწრო ფართო ეკრანს ამ ფილმის ჩვენება და ამით წაართვა მას პოტენციური მაყურებელი.

თბილისის ეკრანზე გამოჩენამდე მსოფლიო ეკრანი მოიარა სერგო ფარაჯანოვის „აშულ ყარიბმაც“.

როგორც ხშირად ამბობენ, კინო კოლექტიური შემოქმედებაა, მაგრამ ს. ფარაჯანოვის კინოსურათებში რეჟისორის პიროვნული ტალანტი ნთქავს სხვას ყველას და ყველაფერს. მისი ქმნილება მოზაიკური კალეიდოსკოპს გვაგონებს. მის კადრში საგანი, ცხოველი, ბუნება, მსახიობი მხოლოდ ფერადი ნატეხებია, რომლებიც რეჟისორის ნება-სურვილით იშლებიან, კვლავ ერთდებიან, ქმნიან ახალ კომბინაციას, რათა კვლავ დაიშალონ და ა. შ. დამეთანხმებით, ფართო მაყურებელი სულ სხვა რამეს მოელის კინოსაგან.

მაგრამ ვინც მიიღებს რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ პირობებს, ვისაც შეუძლია ტკბობა ამგვარი ფერწერით, ვისთვისაც საინტერესოა ფილმის ყოველ კადრში ჩაქსოვილი რეჟისორის მკაფიო ინდივიდუალურობა, მის წინაშე თვალწარმტაცი სამყარო გადაიშლება. მართალია, ეს სამყარო უფრო აღმოსავლურია, აზიური და ფილმიც მხოლოდ იმდენად შეიძლება ჩაითვალოს ქართულად, რამდენადაც მას „ქართული ფილმის“ მარკა ამშვენებს, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს იყოს ხელოვნების ნიმუში.

ვფიქრობ, თავის მაყურებელს იპოვის ფილმიც „მამა, შვილი და ნიავი“ — რეჟისორ გოგიტა ჭყონიას დებიუტი სრულმეტრაჟიან კინოში.

რეჟისორი ქმნის საკმაოდ ძნელად საყურებელ, მაგრამ მეტად საინტერესო და თავისებურ კინოს. ვინც იცნობს გ. ჭყონიას მოკლემეტრაჟიან ფილმებს, უცნაურად მოეჩვენებოდა მის მიერ გადასაღებად დ. ჩუბინიშვილის სცენარის „ომისშემდგომი ისტორიის“ არჩევანი. სცენარი ფსიქოლოგიურ-ყოფითი დრამის ჟანრში იყო გადაწყვეტილი და აშკარად სხვა ყაიდისა და სხვა სტილისტიკის რეჟისორს მოითხოვდა.

ასეა თუ ისე, არჩევანი გაკეთდა და შემდეგში რეჟისორი მაინც თავისი გზით წავიდა. იგი ბინაციას, რათა კვლავ დაიშალონ და ა. შ. დამეთანხმებით, ფართო მაყურებელი სულ სხვა რამეს მოელის კინოსაგან.

მაგრამ ვინც მიიღებს რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ პირობებს, ვისაც შეუძლია ტკბობა ამგვარი ფერწერით, ვისთვისაც საინტერესოა ფილმის ყოველ კადრში ჩაქსოვილი რეჟისორის მკაფიო ინდივიდუალურობა, მის წინაშე თვალწარმტაცი სამყარო გადაიშლება. მართალია, ეს სამყარო უფრო აღმოსავლურია, აზიური და ფილმიც მხოლოდ იმდენად შეიძლება ჩაითვალოს ქართულად, რამდენადაც მას „ქართული ფილმის“ მარკა ამშვენებს, მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს იყოს ხელოვნების ნიმუში.

ვფიქრობ, ვერც „ფარანი ქარში“ (რეჟისორი ნოდარ ომიანძე) მოიპოვებს მაყურებლის კეთილგანწყობას. ამ ფაქტზე, უპირველეს ყოვლისა, იმოქმედებს თავად კინოსურათის ჟანრი — ეს არის საჭადრაკო ალმზრდელის ვახტანგ ქარსელაძისადმი მიძღვნილი ფილმი-მოგონება.

ფილმში ვ. ქარსელაძეს იგონებენ მისი ყოფილი აღსაზრდელები, მეგობრები, კოლეგები. ერთმანეთს ენაცვლება დოკუმენტური კადრები, რეალური ინტერვიუები, მხატვრული ეპიზოდები. შერწყმა ორგანულად ხდება, მაგრამ თავად მხატვრული ფრაგმენტები, ჩემის აზრით, ვერ არის ზუსტად შერჩეული, მაქსიმალურად დატვირთული ფსიქოლოგური ნიუანსებით. ავტორები უფრო ცხოვრების ილუსტრირების გზით წავიდნენ და როგორც შედეგი, არ მოხდა პიროვნების ბოლომდე გახსნა, გაცოცხლება, მაყურებელსა და გმირს შორის კონტაქტის დამყარება;

დეკადაზე წარმოდგენილი ფილმები ძირითადად გადაღებულია „გარდაქმნის“ პერიოდში; იტომაც მისი გადატანა ეკრანზე დანაკარგების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ თუ ავიღებთ „ბესამეს“ ლიტერატურული პირველწყაროსაგან დამოუკიდებლად, კინოფილმმა შესძლო თავისი სათქმელის თქმა, მშვენიერებისათვის გახსნილი სულის დამახინჯების პროცესის და მეთოდების თვალსაზრისით ჩვენება.

ფილმი მტკიცე პროფესიონალური ხელით არის გადაღებული. არავითარი მიახლოებითობა, ზედმიწევნითი ყურადღება დეტალებისადმი, მუყაითი მუშაობა მსახიობებთან (მით უმეტეს ბევრი მათგანი არაპროფესიონალია). მართალია, ზოგჯერ რჩება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, ზოგიერთი სცენა მოითხოვს მეტ სილრმეს, დრამატურგიულად მეტ დატვირთვას, მაგრამ საბოლოო ჯამში შთაბეჭდილება ძალზე კარგია. ვფიქრობთ, ორიგინალური სიუჟეტი, პოპულარული მსახიობების მიერ შექმნილი საინტერესო სახეებით, გამომსახველობითი მხარის მაღალი დონით (ოპ. ლომერ ახვლედიანი) „ბესამე — მიიზიდავს მაყურებელს.

როგორც გამოცდილი კინოფიკატორები ვარაუდობენ, უნდა იმუშაოს ნ. მჭედლიძის ფილმმაც „დანაშაული მოხდა“. კინოსურათი ახალგაზრდობის პრობლემებზეა და ამ რიგის ფილმებისაგან განსხვავებით მოკლეპეწია ყოველგვარ დიდაქტიკურობას, მზა პასუხებს.

ფილმის ავტორები უბრალოდ გვაცნობენ თანამედროვე ახალგაზრდების ერთ ჯგუფს. ისინი არც ანგელოზები არიან და არც პირწმენდილი ავაზაკები; ადვილად მიჰყვებიან კეთილსაც და ბოროტსაც. მათ გვერდით სხვა ცხოვრებაც სჩქეფს — მიზანდასახული, ცხადი, მიტინგებზე ფრიალებს დროშები, ქუხს აქამდე უჩვეული სიტყვები, მაგრამ ეს მათი ცნობიერების პერიფერიაზეა. ბიჭები ჯერ საკუთარი თავის ძიებაში არიან, თუმცა ეძებენ ბრმად, პასიურად, გაუცნობიერებლად. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ყმაწვილები არიან, დღევანდელობიდან ეკრანზე გადმოსულები და ისინი ერთი „ჩვეულებრივი“ დანაშაულის მონაწილეებიც ხდებიან.

ფილმი ახალ ჟღერადობას იძენს დღეს, როცა მართლაც ესოდენ „ჩვეულებრივი“ გახდა ქართველი ახალგაზრდის მიერ მკვლელობა თანამემამულის, ტოლის, ხშირად მეგობრისაც კი. რატომ? ამ კითხვაზე ეძებს პასუხს კინოსურათიც „დანაშაული მოხდა“.

ამ უპრეტენზიო ფილმის გვერდით დეკადაზე წარმოდგენილი იყო მეტად ორიგინალური სიუჟეტით და ფორმით გამორჩეული მუსიკალური კომედია „სიზმრები აღლუმებს შორის“ (რეჟისორი ბიძინა ჩხეიძე).

ფილმის სიუჟეტურ ჩარჩოს ქმნის სცენარისტი, უშედეგოა წვალება სცენარის შექმნაზე, არ დაემორჩილა სცენარის მიერ ნაკარნახევს და ამის შედეგად ფილმმა დაკარგა სცენარისათვის დამახასიათებელი სიცხადე, ყოფითი კონკრეტულობა, ფსიქოლოგიური ნიუანსები, ძალზე შემცირდა დიალოგები — სამაგიეროდ შეიქმნა ფილმი-განწყობა, ფილმი-განცდა. თითოეული ეპიზოდი, სცენა, მოუწყობლობის გრძნობით, გამოუთქმელი სევდით, განწირულობით არის დამუხტული. ფილმის გმირი ესწრაფვის ოჯახურ სითბოს, ადამიანურ ურთიერთობას, მაგრამ ომის სისასტიკეგამოვლილი სული სიმშვიდეს ვეღარ ჰპოვებს და ბედისწერაც არ აყოვნებს.

ფილმი არათანაბარია, მაგრამ იგი სუნთქავს, ქმნის მკვეთრად გამოხატულ ატმოსფეროს, ზოგი სცენა ჭეშმარიტ ტრაგიზმამდე აღწევს. ამით კი ბევრი კარგად აწყობილი ფილმიც ვერ დაიტრაბახებს.

სრულიად საპირისპირო მოვლენაა მეორე „ჯინდებიუტი“ — ნინო ახვლედიანის „ბესამე“. გ. დოჩანაშვილის პროზა საერთოდ და კერძოდ „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, რომლის მიხედვითაც არის გადაღებული „ბესამე“, საეკრანიზაციოდ საკმაოდ რთულია, ამბინაციებს, ეკრანზე გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგრამ თუ ავიღებთ „ბესამეს“ ლიტერატურული პირველწყაროსაგან დამოუკიდებლად, კინოფილმმა შესძლო თავისი სათქმელის თქმა, მშვენიერებისათვის გახსნილი სულის დამახინჯების პროცესის და მეთოდების თვალსაზრისით ჩვენება.

ფილმი მტკიცე პროფესიონალური ხელით არის გადაღებული. არავითარი მიახლოებითობა, ზედმიწევნითი ყურადღება დეტალებისადმი, მუყაითი მუშაობა მსახიობებთან (მით უმეტეს ბევრი მათგანი არაპროფესიონალია). მართალია, ზოგჯერ რჩება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, ზოგიერთი სცენა მოითხოვს მეტ სილრმეს, დრამატურგიულად მეტ დატვირთვას, მაგრამ საბოლოო ჯამში შთაბეჭდილება ძალზე კარგია. ვფიქრობთ, ორიგინალური სიუჟეტი, პოპულარული მსახიობების მიერ შექმნილი საინტერესო სახეებით, გამომსახველობითი მხარის მაღალი დონით (ოპ. ლომერ ახვლედიანი) „ბესამე — მიიზიდავს მაყურებელს.

გმირობას ხანდაზმულობა ვადა არა აქვს

თბილისელმა პენსიონერმა ილია ტატიშვილმა მოულოდნელად წერილი მიიღო, წერილი... სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვისაგან. მას გული აუჩუყდა: ეს იყო მისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ 31-ე გვარდიული ცალკე სატანკო ბრიგადიდან მისი თანაპოლკელების შუამდგომლობის პირი. „გადავწყვიტეთ ხელახლა აღვძრათ შუამდგომლობა საარქივო დოკუმენტების გადასინჯვის შესახებ, — წერს მინსკიდან ბრიგადის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვორონკოვი. — ტექსტი შევადგინეთ თვითმხილველთა უფლებით და დოკუმენტების საფუძველზე“.

ბატონი იღია ფრონტიდან ალექსანდრე ნეველის, წითელი დროშის, სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით დაბრუნდა, მაგრამ ფრონტელებს მაინც მიაჩნიათ, რომ მათი თანამებრძოლი დაუმსახურებლად დატოვეს ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს გარეშე. მნიშვნელოვანწილად ხომ მისი წყალობით შევიდნენ დროზე საბჭოთა ჯარები ჰიტლერელთა მიერ დანაღმულ კრაკოვში და ეხმარებოდნენ იატაკქვეშელებს ქალაქის გადარჩენაში, რომლებსაც ტელემაყურებლები იცნობენ სერიალთაც „მაიორი ვიხრი“.

...1945 წლის იანვარში 38-ე არმია კრაკოვისკენ მიიწევდა. გვარდიელთა ტანკებს ერთ ღამეში უნდა გაეარათ 70 კილომეტრი და მოწინააღმდეგის ზურგში ხელთ ეგდოთ ასაფეთქებლად მომზადებული მდინარე დუნაეცის ხიდი. სხვაგვარად ძირითად ძალებს შეეძლოთ დაეგვიანებინათ .ქალაქში, მაგრამ მდინარისკენ მიმავალ გზაზე ტანკები გაჩერდნენ ღრმა ნეგვში, რომლის ხიდის აფეთქება ფაშისტებმა მოასწრეს. გადასხა რა თავისი მანქანის ეკიპაჟი, რათა მისი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდო, გვარდიის კაპიტანი ი. ტატიშვილი თვითონ მიუჯდა ბერკეტებს. მას დაეხმარა არა მარტო ტექნიკის საუცხოო ცოდნა, არამედ ცირკის აკრობატის ომამდელი ჩვევები — ზუსტი გაანგარიშება, ზუსტი ორიენტაცია და რიტმაც მოიხსნა მრავალი აკრძალვა, როცა საბჭოთა კინემატოგრაფმა კატასტროფული სისწრაფით დაიწყო აქამდე ტაბუდადებული თემატიკის ათვისება, როცა ეკრანებისკენ ნაკადად დაიძრა ახალი სტერეოტიპები და შტამპები.

დეკადაზე წარმოდგენილ ფილმებს არ ეტყობათ ამ პროცესების კვალი. კარგია ეს თუ ცუდი? ერთის მხრივ ალბათ კარგი — ქართული კინო ნაკლებ ემორჩილება კონიუნქტურას, არ ეძებს იაფფასიან პოპულარობას, სიღრმეში ჩახედავ ურჩევნია ზედაპირზე მოგდებული ქაფის მოხდას.

მეორეს მხრივ — შედეგი ხშირად არ ემთხვევა განზრახვას და ხელში აღარც ხელოვნება გვრჩება და აღარც კომერცია. ამასთან პოპულარობის არძებნა თავის მეორე უკიდურესობისკენ იხრება — მაყურებლისგან სრულ მოწყვეტას, მისი ინტერესების არამცთუ გაუთვალისწინებლობას, საერთოდ, არცოდნას იწვევს, ალბათ, უნდა შეიქმნას სპეციალური სოციალური სამსახური, რომელიც პირუთვნელად შეისწავლის ამ სფეროს, განაზოგადებს გაეცირავების სტატისტიკურ მონაცემებს და ამგვარად შეეცდება განყვეტილი კავშირის აღდგენას.

დიახ, ქართულ კინოს უჭირს. მას დახმარება სჭირდება და ეს დახმარება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ რეკლამით.

რეკლამა უნდა დაეხმაროს მაყურებელს იპოვოს თავისი ფილმი და არა ნებისმიერი ხერხით შეიტყუოს ის კინოდარბაზში.

ქართული კინო უნდა იყოს სხვადასხვანაირი: გასართობიც, პრობლემურიც, ელიტარულიც, ავანგარდულიც, მხოლოდ არა დაბალი დონის! ამაში მას უნდა დაეხმარონ უპირველეს ყოვლისა, თავად შემოქმედნი, ასევე კინოწარმოების ორგანიზატორები, მომავალი კადრებისა თუ მაყურებლის აღმზრდელები, მთელი საზოგადოება.

მანანა ლეკბორაშვილი.

• • •

სურათებზე: კადრები ფილმებიდან, მარცხნივ: „დანაშაული მოხდა“ და „რობინზონიადა“, ზემოთ: „დაბატუტი წრე“, „ოპერაცია „ვუნდერლანდი“, „აშულ-ყარიბი“.

მეფე სოლომონ მეორის ნაკვალევზე

როგორც ცნობილია, თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში მიმდინარეობს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის დაკრძალვის ადგილის გაფხრება. საქინფორმის კორესპონდენტი ვ. ბარნოვი შეხვდა ექსპედიციის წევრს პროფესორ ო. ჯაფარიძეს და სთხოვა აზრი გაეზიარებინა გათხრების მიმდინარეობის შესახებ.

— ჩვენი ექსპედიციის შემადგენლობაში 14 კაცია. ესენი არიან ანთროპოლოგები, არქეოლოგები და ისტორიკოსები, აგრეთვე საქართველოს მონარქისტული პარტიის წარმომადგენლები, რომლის ინიციატივით მიმდინარეობს ეს სამუშაოები.

ცნობილია, რომ იმერეთის მეფე სოლომონ მეორე გარდაიცვალა 1815 წელს და დაკრძალეს ტრაპიზონში ბერძნული ეკლესიის ეზოში. შემორჩენილია საფლავისა და საფლავის ქვის ფოტოსურათები.

სამწუხაროდ, ოცდაათიან წლებში ეკლესია დაანგრიეს და მის ადგილას კლუბი ააშენეს. გადარჩა მხოლოდ ეზოს პატარა ნაწილი, სადაც გათხრებს ვაწარმოებთ.

ვიპოვეთ რამდენიმე ქვა. ვფიქრობთ, რომ ეს აკლდამის ფრაგმენტები უნდა იყოს.

თურქეთში როგორ მიგვიღეს? შეგეხვეწნენ ტრაპიზონის გუბერნატორი და მერი, პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე აქ მცხოვრები მრავალი ქართველი, რომლებიც გვეხმარებიან სოლომონ მეფის საფლავის ძებნაში.

(საქინფორმი).

სხვადასხვა ენაზე

პოლონეთში გამოვიდა ქართველი მეცნიერების გ. ცაცანაშვილისა და ტ. ანდრონიკაშვილის წიგნი, რომელიც დაწერილია გ. კიროვთან და ლ. ფილიზოვასთან თანაავტორობით, — „ბუნებრივი ცეოლითები“. აქ პირველად არის გამოქვეყნებული უსრულესი მონაცემები ამ ბუნებრივი სამდიდრის შესახებ. წიგნში მოყვანილია არა მარტო ცნობები ცეოლითების სხვადასხვა ტიპის გენეზისის, მათი სტრუქტურული თავისებურებების შესახებ, არამედ აღწერილია ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ავტორები განიხილავენ სხვადასხვა ქიმიურ-ტექნოლოგიურ, ნავთობ-გადამუშავების პროცესებში ბუნებრივი ცეოლითების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაჩვენებია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვაში მათი გამოყენების შესაძლებლობა. ახლახან ლონდონიდან მივიდა ცნობა, რომელშიც ავტორებს შეატყობინეს, რომ მათი შრომა ითარგმნა ინგლისურ ენაზე. წიგნი მალე გამოვა.

(საქინფორმი).

დაარსდა ქორეოგრაფთა კავშირი

ახლახან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში ქართული ქორეოგრაფიის სხვადასხვა თაობათა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. გაიმართა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ახლად დაარსებული კავშირი დალოცა ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზმა მამა ელიზბარმა. დელეგატებმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აწ განსვენებულ ქორეოგრაფთა ხსოვნას. აღელვერდა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნი, და ყრილობა მუშაობას შეუდგა.

ქორეოგრაფთა კავშირის მუშაობის მეტად საინტერესო გეგმა აქვს. მალე გაიხსნება ქორეოგრაფიული ხელოვნების მუზეუში, სადაც, წარმოდგენილი იქნება ყველა ის ჯილდო თუ ფოტომასალა, რომელიც ქართველ მოცეკვავეთა წარმატებაზე მეტყველებს. გადაწყვეტილია სპეციალური ბიბლიოთეკის გახსნა, რომელშიც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული თითქმის ყველა ის წიგნი, ალბომი თუ ბუკლეტი, რომლებიც ქორეოგრაფიის საკითხებს ეხება. დაგეგმილია, რომ კავშირში შეიქმნას უხუცესთა საბჭოს ანალოგიური ღვაწლმოსილ ქორეოგრაფთა საბჭო.

ყრილობის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო წესდების პროექტის დამტკიცება, რომელზეც კომისია ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა. გამოითქვა რამოდენიმე საინტერესო შენიშვნა, გაკეთდა შესაბამისი შესწორება, და წესდება დამტკიცდა.

კავშირის გამგეობას, რომელშიც 71 დელეგატია, დაეკალა ხელმძღვანელი ალბარტის არჩევა. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თენგიზ სუხიშვილი, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ ყველასათვის საყვარელი ქალბატონი ნინო რამიშვილი, რომელიც [illegible] ... [illegible] და იქიდან მოულოდნელ კონცერტებს კავშირის დაარსება. რამოდენიმე დღეში ანსამბლ ც გაემგზავრება ამერიკაში [illegible] ... ნინოს ჩაუტანს ქართველი ხალხის გულთბილ მილოცვასა და საუკეთესო სურვილებს.

ეკა ჯიმშელაძე.

„მაცდური“

ახლახანს „მერანმა“ გამოსცა სოლომონ დემურხანაშვილის რომანი „მაცდური“. რომანის მთავარი გმირია პატიოსნებას შეწირული, ბნელი ძალებისაგან უსამართლოდ გვემული პიროვნება.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამბ. ბორის ერასტეს ძე **სარალიძე** გაათავისუფლა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მწვავე პოზიცია

მეექვსე შეხვედრაში კასპაროვმა ერთხელ კიდევ (ამ მატჩში მესამედ) მიმართა ესპანურ პარტიას. მას შემდეგ, რაც 24-ე სვლაზე კარპოვმა უზუსტოდ ითამაშა, დროზე არ განახორციელა მანევრი ცენტრში, მსოფლიო ჩემპიონი პაიკის მახვილგონივრული შეწირვით დაეუფლა ინიციატივას. ლაზიერით, ეტლითა და კუთი იგი დაემუქრა მეტოქის მეფის ფრთას, რომელიც საკმაოდ დასუსტდა. ციტენტში კარპოვი თანახმა იყო მეტოქისათვის პაიკი უკან დაებრუნებინა, შემდეგ ლაზიერსაც სწირავდა მსუბუქ ფიგურაში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა არც ერთი მოისურვა და არც მეორე. პარტია გადაიდო უაღრესად მწვავე პოზიციაში: კასპაროვს კვლავინდებურად პაიკი აკლია, მაგრამ მან ლაზიერი და ეტლი გადაისროო შავების განლაგების ზურგში. მიმომხილველთა ნაწილი ფიქრობს, რომ ჩემპიონს მოგების კარგი შესაძლებლობები აქვს. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კასპაროვმა ყაიმს უნდა მიაღწიოს.

ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 კასპაროვის სასარგებლოდ.

ციცინო სიმონიშვილი

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ვეტერანთა რიგებს 84 წლის ასაკში გამოაკლდა საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების ზედამხედველობის განყოფილების ყოფილი პროკურორი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ციცინო მიხეილის ასული სიმონიშვილი.

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [